FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

საბა ქევხიშვილის ისტორია

ფინანსისტ საბა ქევხიშვილს ბრალად ედება პოლიციის კანონიერი მოთხოვნის მიმართ დაუმორჩილებლობა. ის 2024 წლის პირველ დეკემბერს, 06:22 საათზე დააკავეს.

საბა რუსთაველის გამზირზე პროევროპულ აქციაზე იმყოფებოდა. სპეციალური რაზმის მიერ აქციის თვითნებური დაშლის შემდეგ, პროტესტის მონაწილეებმა ხელოვნური ბარიკადი ააგეს. გარკვეულ მომენტში, ქევხიშვილი აქციის მონაწილეთა ჯგუფს გამოეყო და იმის საჩვენებლად, რომ აქცია მშვიდობიანი იყო, საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით სპეცრაზმისკენ დაიძრა. ამ დროს, სპეცრაზმს უკვე დიდი რაოდენობით ცრემლსადენი გაზი ჰქონდა გამოყენებული. სპეცრაზმსა და აქციის მონაწილეებს შორის დაახლოებით 150-200 მეტრი მანძილი იყო.

მედიაში გავრცელებულ ვიდეომასალებში ნათლად ჩანს, რომ საბა ქევხისშვილს სპეცრაზმის კორდონის მიმართულებით გადაადგილებისას ერთ-ერთი ნიღბიანი გამოელაპარაკა. მან ახალგაზრდა ფინანსისტს ჰკითხა, თუ რატომ იყო აქციაზე და რას აპროტესტებდა. საპასუხოდ, ქევხიშვილმა მობილური ტელეფონი ამოიღო და სპეცრაზმის მიერ სასტიკად ნაცემი ზვიად მაისაშვილის ვიდეო აჩვენა. იქვე დასძინა, რომ ერთ აზრამდე ვერასდროს მივიდოდნენ, რაზეც სპეცრაზმის თანამშრომელი განსაკუთრებით გაღიზიანდა და მოქალაქის თვითნებური დაკავება გადაწყვიტა.

საბა ქევხიშვილი ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარედ მდგომ მიკროავტობუსში გადაიყვანეს, სადაც მას სპეცრაზმის რამდენიმე თანამშრომელი სახის, კეფისა და მთელი ტანის არეში განსაკუთრებული სისასტიკით მუშტებს და წიხლებს ურტყამდა. ფიზიკურის გარდა, მას სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ, აგინებდნენ და ეკითხებოდნენ, კიდევ დაბრუნდებოდა თუ არა აქციაზე. ცემის დაწყებამდე საბას წაართვეს კუთვნილი მობილური ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები, რომლებიც მისთვის დღემდე არავის დაუბრუნებია.

ქევხიშვილი იმავე მიკროავტობუსით გადაიყვანეს რესპუბლიკის მოედანზე, სადაც დაკავების გაფორმების მიზნით გადასცეს პოლიციას. ამ დროისთვის, მას აღენიშნებოდა ცხვირისა და ყბის, ასევე თვალბუდის მოტეხილობა. გარდა ამისა, ჰქონდა ტვინის შერყევა.

საბას ოფიციალურ დამკავებლებად გაფორმდნენ ის პოლიციელები, რომლებმაც ნაცემი ახალგაზრდა სპეცრაზმელებისგან გადაიბარეს. ოქმების შედგენის მიზნით, ქევხიშვილი თბილისის ცენტრალური პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს, მაგრამ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწრაფოს გამოძახება და ინგოროყვას სახელობის კლინიკაში გადაყვანა გახდა აუცილებელი. სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ, ქევხიშვილი კლინიკაში მოათავსეს.

მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ დაკავებულის საქმე 2024 წლის 23 დეკემბერს განიხილა. როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდას ბრალი პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაში (დაეტოვებინა აქციის ტერიტორია) ედებოდა. საბა ქევხიშვილის საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, რომელთაგანაც მისი რეალური დამკავებელი არცერთი იყო. მეტიც, ისინი საბას დაკავების ფაქტის შემსწრეებიც კი არ ყოფილან.

დაცვის მხარემ წარმოადგინა ნეიტრალური ვიდეომტკიცებულება, სადაც ნათლად ჩანდა, რომ ქევხიშვილი ნიღბიანებმა თვითნებურად დააკავეს. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ცაცუამ მშვიდობიანი აქციის მონაწილე სამართალდამრღვევად სცნო. საბა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა - მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა მიიღო.

2024 წლის 17 დეკემბერს, საბა ქევხიშვილი გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. არსებული ინფორმაციით, სპეცრაზმელების ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება ან/და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა. საგამოძიებო სამსახურის მიერ, ქევხიშვილს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

სამწუხაროდ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ამ დრომდე არ მომხდარა იმ ნიღბიანთა ვინაობის დადგენა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ქევხიშვილის დაკავებასა და წამებაში. ასევე, დაკავების ოქმში არ დაფიქსირებულა საბას მობილური ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები, რომლებიც დაზარალებულს დღემდე არ დაბრუნებია.